ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N9

20.02.2018 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი *გიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 20 თებერვალს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე, განათლების, სპორტის და ახალაგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნოს, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.
სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. *თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა* **და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** *ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვა (12-031804637-03, 15.02.2018)* **(მომხსენებელი - სერგო ბირკაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სერგო ბირკაძე - მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კომისიას გააცნო განკარგულების პროექტი *„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად დანიშვაზე თანხმობის*

მიცემის შესახებ". პროექტის მიღების საფუძველია ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში განხორციელებული რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად ორი საქალაქო სამსახურის გაერთიანებით ჩამოყალიბდა ქ.თბილისის *მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური,* შეასაბამისად გაერთიანებული სამსახურის უფროსად წარმოგიდგენილი იქნა ირაკლი გვილავას კანდიდატურა.

მომხსენებელმა ხაზი გასუვა ირაკლი გვილავს პროფესიონალიზმს, კარგ მენეჯერულ თვისებებს, მის კომპეტენტურობას და შესაბამის სფეროში მუშაობის დიდ გამოცდილებას.

ირაკლი გვილავა, 2014-2015 წლებში, იყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს V მოწვევის და ამავე კომისიის წევრი, ხოლო 2015 წლიდან დღემდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრების მიერ აღინიშნა მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული არაერთი წარმატებული სპორტული და ახალგზრდული პროექტის თაობაზე.

განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქალაქო სამსახურის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას საქმიანობა დადებითად შეაფასეს კომისიის წევრებმა და წარმატება უსურვეს შემდგომ საქმიანობაში.

ირაკლი გვილავამ მადლობა მოახსენა კომისიის წევრებს ნდობისთის, გამოთქვა იმედი და მზადყოფნა ყველა საკითხთან დაკავშირებით და დედაქალაქის საკრებულოსთან მჭიდრო კომუნიკაციისა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :
ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *(12-031804637-03, 15.02.2018)* საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, გიორგი მუსხელიშვილი, ავთანდილ ცინცაძე (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)) ;

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:
ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *(12-031804637-03, 15.02.2018)* განკარგულების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე